საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1070/01
07/02/2022

1070-01-2-202202071127

შპს „ინდიკოს“

მის: სოფ თეკლათი, ღვინჯილიას ქ. №3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 24 იანვრის №965 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ თეკლათში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ შპს „ინდიკოს“ საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „მექანიკური“, ასევე, საპროექტო ტერიტორიიდან 280 მეტრის მანძილზე მდებარეობს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისა“ და შპს „გრინ გაზის“ კუთვნილი ავტოგასამართი სადგურები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კუმულაციური ზემოქმედების შესახებ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული ყველა მსგავსი პროფილის მქონე ობიექტის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროების ნავთობპროდუქტების რეზერვუარების სასუნთქი სარქველებისა დას გადახურვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044